დედამიწის უდაბნოები

მაია ბლიაძე

გაეცანით მოცემულ რესურსებს, გაიხსენეთ ნასწავლი მასალა და შეასრულეთ დავალება:

რესურსები:

საკითხავი ტექსტი: უდაბნო

სიცხე, კილომეტრებზე გადაჭიმული ქვიშა, ქვები და პეიზაჟი, რომელიც მთვარის ლანდშაფტს წააგავს – ყველა ეს სცენა ჩვენთან უდაბნოსთან ასოცირდება. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ უდაბნო არაფრით საინტერესო და გამორჩეული არაა, თუმცა სულ ტყუილად.

ჩვენი სამყარო ხომ მეტად მრავალფეროვანია და დედამიწის უდაბნოებიც არაა ერთნაირი. ეს ქვიშის, თიხის, ქვების თუ ყინულის უზარმაზარი ტერიტორიები თავისი უნიკალური თისებებით გამოირჩევა და მრავალ მოგზაურსა თუ თავგადასავლის მაძიებელს იზიდავს.

დედამიწაზე უდაბნოები 6 კონტინენტზე და სხვადასხვა კლიმატურ სარტყელში გვხვდება. მათ უზარმაზარი ფართობები უკავია და ჩვენს პლანეტაზე მრავალი ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს.

უდაბნო ლანდშაფტის ტიპია, რომელიც იმ ტერიტორიებზე წარმოიქმნება, სადაც მუდმივად ან სეზონურად ცხელ ჰავაა. სიტყვა „უდაბნო“ უდაბურს, უკაცრიელს ნიშნავს და იგი ძალზე მეჩხერი და ღარიბი ფიტოცენოზებით ხასიათდება.

ნიადაგისა და გრუნტის ხასიათის მიხედვით, უდაბნოს შემდეგ სახეობებს განარჩევენ:

ა) ქვიშიანს, რომლებიც ძველი ალუვიური ვაკეების ფხვიერ ნალექებზე ვითარდება;

ბ) კენჭნარსა და ქვიშნარ-კენჭნარს, რომლებიც გათაბაშირებულ სტრუქტურულ პლატოებსა და მთისძირა ვაკეებზეა გავრცელებული;

გ) ღორღიან-გათაბაშირებულს, რომლებიც პლატოებსა და ახალგაზრდა მთისძირის ვაკეებზე გვხვდება;

დ) ქვიანს, რომელთა გარცელების არეალი დაბალმთიანეთი და წვრილგორაკებია;

ე) თიხნარს, რომლებიც სუსტად კარბონატულ საფრულ თიხნარებზე ფორმირდება;

ვ) ლიოსურს - მთისძირა ვაკეებზე;

ზ) თიხიანთაყირულს, რომლებიც მთისძირა ვაკეებსა და მდინარეთა ძველ დელტებზეა წარმოქმნილი;

თ) თიხიან-ბედლენდურს, რომლებიც დაბალმთიანეთშია გავრცელებული და მარილების შემცველი მერგელებითა და თიხებითაა აგებული;

ი) მლაშობს, რომელთა გავრცელება დამლაშებულ დეპრესიებსა და ზღვის სანაპიროებს ემთხვევა.

ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ეკოლოგიური პრობლემა გაუდაბნოების გლობალური პრობლემაა. უდაბნოები ბუნებრივი ეკოსისტემებია, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პლანეტის საერთო ეკოლოგიური ბალანსისთვის. თუმცა მე-20 საუკუნის ბოლოს, ინტენსიური ანთროპოგენური აქტივობის შედეგად, დაიწყო უდაბნოების ტერიტორიული საზღვრების გაფართოება ანუ გაუდაბნოების პროცესი. გაუდაბნოება განსაკუთრებით სწრაფად არიდულ რეგიონებში მიმდინარეობს. მწირი მცენარეულობა ნადგურდება მასობრივი გადაძოვების, ხეებისა და ბუჩქების ინტენსიური ჭრის, სოფლის მეურნეობისთვის შეუფერებელი ნიადაგების ხვნის გამო. ეს ყველაფერი აძლიერებს ქარისა და წყლის ეროზიის ეფექტს. იმავდროულად, წყლის ბალანსი მნიშვნელოვნად ირღვევა, მიწისქვეშა წყლების დონე მცირდება და წყალსატევები შრება. ამ მიზეზით, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გარემოსდაცვითი ანუ კლიმატური ლტოლვილების რაოდენობა. ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხი სხვა, უფრო აყვავებულ ადგილებში გადადის საცხოვრებლად. გაუდაბნოება შეინიშნება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, მაგრამ განსაკუთრებით სწრაფად ხდება არიდულ რეგიონებში.

რუკები

დედამიწის უდაბნოების ტიპები და გავრცელების არეალები



მსოფლიოს უდაბნოები კონტინენტების მიხედვით



ფოტომასალა

ა. უდაბნოს ტიპები: 1 - ტროპიკული უდაბნო; 2 - ზომიერი სარტყლის უდაბნო; 3 - პოლარული სარტყლის უდაბნო.

4

5

6

8. ზოგიერთი უდაბნოს პროდუცენტების ტიპური წარმომადგენლები: 1- აქლემის ეკალი; 2- საქსაული; 3 – ჯუზგუნი; 4 - კაქტუსები.



გ. ზოგიერთი უდაბნოს კონსუმენტების წარმომადგენლები: 1 - აქლემი; 2 - ფენეკი; 3- სურიკატი; 4 - გიენა; 5 - ვარანი; 6 - უდაბნოს ქათამი. 7 - მორიელი; 8 - კულანი.



სხვადასხვა უდაბნოს კლიმატური დიაგრამები

ა


135 მ
16,5 გრადუსი C
2მმ
ნალექები მმ
T გრადუსი C
500
300
100
50
0
50
25
0
-25
-50
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ბ


150 მ
18,6 გრადუსი C
145 მმ
ნალექები მმ
ტემპერატურა
300
100
50
0
50
25
0
-25
-50
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

გ

დ


737 მ
9,9 გრადუსი C
35 მმ
300
100
50
0
50
25
0
-25
-50
ნალექები, მმ
ტემპერატურა
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12


11 მ
26,2 გრადუსი C
313 მმ
500
300
100
50
0
50
25
0
-25
-50
ნალექები მმ
ტემპერატურა
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12


444 მ
22,7 გრადუსი C
9 მმ
ნალექები მმ
ტემპერატურა
300
100
50
0
50
25
0
-25
-50
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

დავალება:

1. ჩამოთვალეთ უდაბნოების ის მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე მეტად ასახავს მათ.
2. დაადგინეთ, ცხრილში მოცემული თითოეული უდაბნო რომელ კონტინენტზე და რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს;
3. დაახასიათეთ უდაბნოს კლიმატური პირობები და ახსენით, რომელი ეკოლოგიური ფაქტორები ახდენს ლიმიტირებულ გავლენას მათზე?
4. დაადგინეთ, რომელი კლიმატური დიაგრამა (ა-ე) შეესაბამება ცხრილში მოცემული თითოეული უდაბნოს კლიმატს; შეავსეთ ცხრილი და ცხრილის ბოლო სვეტში მოიყვანეთ თითოეული კონტინენტისთვის უდაბნოს კიდევ ერთი მაგალითი.
5. ახსენით, როგორ ახდენენ გარემოს პირობებთან ადაპტაციას უდაბნოს ცხოველები და მცენარეულობა.
6. ახსენით, რამ განაპირობა უდაბნოს ბუნებრივ ზონაში ამფიბიების სრული არარსებობა?
7. შეავსეთ ცხრილი - დედამიწის უდაბნოები. ცხრილის ბოლო სვეტში ჩაწერე თითოეული კონტინენტისთვის უდაბნოს კიდევ ერთი მაგალითი.
8. ახსენით, რა არის უდაბნოს ბუნებრივი ზონების ტერიტორიული საზღვრების თანდათანობითი გაფართოების მიზეზები? იმსჯელეთ, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ პროცესის შესაჩერებლად?

ცხრილი: დედამიწის უდაბნოები

N	უდაბნო	ნომერი რუკაზე	რომელ კონტინენტზე მდებარეობს	რომელი ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარეობს	კლიმატური სარტყელი	შესაბამისი კლიმატური დიაგრამა	სხვა უდაბნოს მაგალითი
1	გობი						
2	ატაკამა						
3	ლიბიის						
3	დიდი ქვიშიანი						
5	სონორა						

დამატებითი რესურსები:

მ. ბლიაძე, დედამიწის საოცარი უდაბნოები - http://mastsavlebeli.ge/?p=14273

მ. სეხნიაშვილი, უდაბნოს განუმეორებელი ლანდშაფტი - http://mastsavlebeli.ge/?p=1373

უდაბნოს დიუნები - https://nationalgeographic.ge/story/udabnos-diunebi/

TOP ცხელი ადგილები დედამიწაზე - https://www.youtube.com/watch?v=CRmRIunqJ3c

როგორ გახდა საჰარა უდაბნო? - https://www.youtube.com/watch?v=cQbiT9tLOfU&t=81s

Desert - https://education.nationalgeographic.org/resource/desert/

Types Of Deserts - https://www.worldatlas.com/articles/what-are-the-four-types-of-deserts.html